ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 189
1877

ივერია

№ 189
1903

სექტემბერი 5, პარასკევი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 5, პარასკევი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია" აღარ ეგზავნება.

პირველ სექდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს გარდაცვალებულის

ავქსენტი ცაგარლის

ნაცნობთ და პატივისმცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება კვირას, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში.

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა აუწყებს გარდაცვალებულის საყვარელის მეუღლის

ავქსენტი ცაგარლის

ნათესავთ და პატივისმცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება კვირას, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში.

კნეინა ერნესტინა დადიანისა, კნ. ეკატერინე ილიას ასული დადიანისა, იულონ და იოსებ დადიანები და კნ. ელენე წულუკიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლებასა პირველი ქმრისასა, მეორე—მამისასა და უკანასკნელნი—ძმისა თვისისა

თავადის ილია იულონის ძის დადიანისასა

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზე 7 სექდემბერს სოფ. მოიდანახეს ქუთაისის გუბერნიაში, ზუგდიდის მაზრა. (3—199—1)

ტფილისის ქალაქის მოურავე აცხადებს საყოველთაო საცნობლად, რომ 6 ამა სექდემბერს, დილის 11 საათზე, რომის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში, ფრანგთა ქუჩაზე, გადახდილი იქმნება პანაშვიდი განსვენებულის

ნიკოლოზ იაგორის ძის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად, რომელმაც შესწირა თანხა ღატაკთა თავშესაფარ სახლის ასაშენებლად ქ. ტფილისში. (2—6—1)

მცხეთა-ტფილისის

ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამ თვის ათს, საღამოს ექვს საათზე, ალექსი დავითიშვილის სახლში (Тамаринская ул. № 9) დანიშნულია საზოგადო კრება მოსასმენად კომისიის მოხსენებისა მცხეთაში ადგილების შეძენის შესახებ. (3—148—2)

სპილენძის მადანი

სურს იყიდოს საფრანგეთის კომპანიამ. ვისაც გასაყიდი აქვს, მიჰმართოს ამ ადრესით: Paris, rue Meslay 41, M. J. Champol. (5—6—4)

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელ მისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10—6—10)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ 14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით. 162 გვ. ფასი 30. კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და შაბათობით 10—12 საათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

უმაღლეს ბრძანებისამებრ, მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს, როგორც დეპეშით „კავკაზს" ატყობინებენ, სოხუმის საპატიო მოქალაქის წოდება მიუღია.

გაზეთ „კავ"-ში ოფიციალური ცნობაა დაბეჭდილი: 2 სექდემბერს, ქ. ბაქოში, ნაშუადღევის 5 საათზედ, ზარის ხმა გაისმა და ადგილობრივის სომეხთა ტაძრის გალავანში დიდძალი სომხობა შეიკრიბა. პოლიციამ უბრძანა დაშლილიყვნენ, მაგრამ ხალხმა ქვითა და რევოლვერების სროლით უპასუხა; თვით ეკლესიის ფანჯრებიდგანაც-კი ისროდნენ. მოწვეულ იქმნა ორასი ყაზახი და სალიანის სათადარიგო პოლკის ნახევარ როტა. ჯარსაც ქვითა და რევოლვერის სროლით დაუხვდნენ, თვით ხალხი-კი ეკლესიის ქვითკირის გალავანსა და ეკლესიას ეფარებოდა. ამის გამო ნახევარ როტამ თოფი ისროლა; ხალხი თან დაჭრილთა და მოკლულთ მიეზიდებოდა და თან იმალებოდა ეკლესიაში, რომელსაც ჯარი შემოერტყა. მეამბოხეთაგან 45 დაპატიმრებულია, დანარჩენნი გაიპარნენ. ჯარის კაცებმა დააყრევინეს და იპოვეს მრავალი იარაღი, თვით ეკლესიაშიც და საკურთხეველშიაც-კი დატოვებული იყო რევოლვერები, პატრონები და ნასროლი გილზები. ჯარის კაცთაგან მსუბუქად დაიჭრა ქვით ერთი აფიცერი და ოთხი დაბალის ხარისხის კაცი სალიანის პოლკისა და მოკლულია ქვითავე ერთი შემთხვევით ამ ადგილს მიმავალი ნავოსანის გემის „გეოკ-თეფესი". ამათ გარდა დაშავებულია პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი. რავდენი მსხვერპლია მეამბოხეთა მხარეს, ჯერ გამორკვეული არ არის.

ქალაქის მოურავმა თ-დ ნ. ვ. არღუთაშვილმა-მხარგრძელმა შესწირა აქაურ სახელოვნო სასწავლებელს 14 სხვა-და-სხვა სურათი, რომელიც პეტერბურგში შეუძენია.

მიწად-მოქმედებისა და სახელმ. ქონებათა სამინისტროს წევრი პონომარიევი მოგზაურობს იმ ადგილებში, სადაც ხალხი მევენახეობასა და ღვინის დაყენებას მისდევს, და ტფილისშიაც ჩამოვა.

ტფილისის ცხენის რკინის გზის გამგეობას გადაუწყვეტია ამიერიდგან ნახევარ საათით ადრე შესწყვიტოს ღამით მიმოსვლა. აქამომდე შუაღამისას მიდიოდა უკანასკნელი ვაგონი ერევნის მოედნიდგან, ეხლა-კი $11^1/_2$ საათზე მიდის შინისკენ.

ღამის თავ-შესაფარში წარსულ თვეს 1,282 კაცი მისულა დასაძინებლად, რომელთაგან 1,150 კაცი ყოფილა და 132 ქალი. გვარ-ტომობა ასეა ჩაწერილი: რუსი—525, სომეხი—590, ქართველი -113(?), პოლიაკი—22 და ერთიც სხვა ტომისა.

ართვინის მაზრის უფროსმა მურღულის ხევში, ბათომსა და ოსმალეთის საზღვარ შუა, შეიპყრო სომხთა ბრბო, რომელიც ავაზაკობდა თურმე ოსმალეთის მიდამოში. ეს ბრბო, როგორც „ნოვ. ვრემ"-ს ატყობინებენ, 42 თავზე ხელაღებულთაგან შესდგებოდა, მეთაურად ჰყოლიათ შტუტგარტის პოლიტეხნიკუმის სტუდენტი. ბრბოს ბაირაღიცა ჰქონია, რომელიც დაპატიმრების დროს წაურთმევიათ მოხელეებს. ამ ბაირაღს აწერია: „სიკვდილი ანუ თავისუფლება". წაურთმევიათ აგრეთვე 30 მსწრაფლ-მსროლი თოფი, 6,000 პატრონა რევოლვერისა, 15 გირვანქა დინამიტი, 8 ასაფეთქებელი ყუმბარა, საექიმო მოწყობილობა და წამლეულობა. ბრბოს მონაწილენი წინად სცხოვრობდნენ ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას.

ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის სასწავლებელში წელს 7 სვანელი ბავშვი მიუღიათ; ამ ქალების მოსაყვანად გამგზავრებულა სვანეთს ერთი მოლოზანთაგანი ბოდბის მონასტრისა.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრს ი. გ. ალიბეგოვს ამ საზოგადოების საბჭოსთვის განუცხადებია, გრაფ ლ. ტოლსტოის დეპეშა გავუგზავნოთ, როცა იდღესასწაულებენ 75 წლის შესრულებას მის დაბადებიდგან, ავირჩიოთ საპატიო წევრად და მისი პორტრეტი დავკიდოთ საბჭოს დარბაზშიო.

დღეს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია საქმე სანდრო დარჩიშვილისა, რომელსაც ჰბრალდება, ვითომც თავისი საცოლე უნდა მოეკლა.

ამ ათის წლის წინად ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. ნიკოლაძემ ტფილისში საქალაქო ბანკის დაარსება განიზრახა და ქალაქის მოურავს განუცხადა. ბანკის წესდების შემუშავება მხოლოდ ეხლა გათავდა და წესდების პროექტი ქალაქის გამგეობამ თავის წევრს თ. ვ. ჩერქეზიშვილს გადასცა გადასაშინჯავად და თავის მოსაზრების გამოსათქმელად.

ლ. ტოლსტოის ბიბლიოთეკაში არის თურმე, სხვათა შორის, ქართული თარგმანი ზოგიერთის მისის თხზულებისა. არის აგრეთვე სომხური თარგმანიცა.

შარშან დუშეთში გარდაიცვალა იოსებ სტეფანეს ძე ბაქრაძე. განსვენებული გვარ-ტომობით ქართველი იყო და სარწმუნოებით—რომის კათოლიკე. დუშეთში იგი კარგა ხანს სცხოვრებდა და, სხვათა შორის, მკურნალობასაც მისდევდა.

მოგეხსენებათ, რომ ძველადგანვე ქართველი კათოლიკენი მკურნალობას ევროპიდამ მოსულ კაპუცინებისაგან სწავლობდნენ. განსვენებულს იოსებ ბაქრაძეს ქართული ძველი „კარაბადინები" მრავლად ჰქონია. მის სიკვდილს შემდეგ ყველა მისი წიგნები აქა-იქ გაბნეულა, ზოგი რამ ძველი წიგნები-კი მის ნათესავებს დარჩენიათ. ამ წიგნებში, სხვათა შორის, არის: —„ამირ ნასარიანი", თარგმანი სპარსულის ენიდამ ქართულს ენაზედ ვახტანგ მეფის მიერ; „საოჯახო ეკონომია", თარგმნილი ფრანგულიდგან რუსულად და რუსულიდგან ქართულად სიმონ მაკარიას მიერ, ვახტანგ მეფის დროს. მთარგმნელი სწერს ასე: — „ოდესაც ღვთისაგან განმგებელი ვახტანგ მეფე მოსკოვს მობრძანდა, მან მიბრძანა ამ წიგნის თარგმნა რუსულის ენიდამ ქართულს ენაზედ და თვით მანვე გაასწორა ქართულს ენაზედ 1791 წ.

ამ ხელთნაწერში ბევრი რამ საყურადღებო ცნობებია მეურნეობის შესახებ, მაგალითებრ: ბაღოსნობა-ბოსტნეულობა, პირუტყვის მოშენება, მეთევზეობა და სხვა. აქვე არის კარაბადინი, რომელშიაც ბევრი რამ საყურადღებო სატკივრებია აღწერილი. ყველა ეს წიგნები მის ეხლანდელ პატრონს, განსვენებულის იოსებ სტეფანეს ძის ბაქრაძის სახელით, ჩვენის „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის" შეუწირავს.

შეცდომის გასწორება

აკაკის გუშინდელს ლექსში, მეორე სვეტზედ, ბოლოდან მესამე ტაეპში შეცდომით დაბეჭდილია:

ვარ პირველის ნუგეში...

უნდა იყოს:

ვარ პირისუფლის ნუგეში...

საუბარი სახალხო სკოლების შესახებ

(ბ-ნ ივანე როსტომაშვილის წერილის გამო).

(დასასრული *)

ეხლანდელი სახალხო სკოლებიო, ამბობს ბ-ნი როსტომაშვილი, დამყარებულია მარტო წიგნურს სწავლაზედ, რომელიც „ამახინჯებს ადამიანის ბუნებას, ახშობს მის ბუნებრივ გრძნობას და გონების ბუნებრივ ნიჭსა". ეს აზრი 'რომ ოც და ათი წლის წინად წარმოეთქვა

---

*) იხ. „ივერია" № 188.

ვისმე, როცა ყველა სასწავლებლებში გამეფებულიიყო თუთიყუშური ზეპირობა, კიდევ შესაწყნარებელი იქნებოდა, მაგრამ დღეს საზოგადოთ ამის თქმა არ შეიძლება—ძნელად წარმოსადგენია ისეთი სკოლა და მასწავლებელი, რომელიც თუ ცოტათი მაინც მომზადებულია სწავლების დროს მარტო წიგნურს სწავლებას ადგეს. თვით დღევანდელი პედაგოგიურად შემუშავებული სახელმძღვანელო წიგნები ნათლად უჩვენებენ გამოუცდელ მასწავლებლებსაც-კი, რომ არაოდეს სწავლა-აღზრდის საქმე მარტო წიგნურს გაზეპირებაზე არ უნდა დაამყარონ, არამედ, განსაკუთრებით საუბრებისა და დაკვირვებითი სწავლის შემწეობით, გააცნონ მოწაფეებს გარემორტყმული ბუნება და მისი კანონები და წაკითხულის სრულის შეგნებით განავითარონ მოწაფეთა ჭკუა-გონება.

ბ-ნი როსტომაშვილის მიერ დაბეჭდილ პროექტით — სახალხო სკოლას უნდა ჰყავდეს ხუთი მასწავლებელი და 120 მოწაფე. ამათ უნდა ჰქონდეთ ხუთი ან ათი დესეტინა მიწა, რომლის შემოსავალი მისის აზრით მასწავლებლის ჯამაგირსაც გაისტუმრებს და მასწავლებლებ-მოწაფეებსაც ეყოფა სარჩოთ ე. ი. „ყველას ეყვის; ჯარს ჯამათს, ეკურთხება მკვდარს საფლავი“ და თუ გნებავთ თვითოეული სადილის შემდეგ თორმეტ-თორმეტი გოდორი ნასუფრალიც დარჩება.

ამისთანა ახირებული გეგმის გამოქვეყნება აიხსნება არა მარტო იმით, რომ ყველა ჩვენებური სახალხო სკოლები ბ-ნს როსტომაშვილს ბიუროკრატიულ დაწესებულებათ მიაჩნია, არამედ იმათიც, რომ იგი იჩენს მცირე დაკვირვებას ჩვენი ცხოვრებისას. ამის გამო მისს პლანებში მხოლოდ ერთად-ერთი კეთილი სურვილებია მოსაწონი, დანარჩენი-კი რომელიმე მახლობელი ციური მნათობის მკვიდრის ქადაგებას უფრო ჰგავს, ვიდრე დედამიწაზე მცხოვრებისას.

შეუსაბამობა ბ-ნის როსტომაშვილის სკოლის გეგმისა იმაში იხატება, რომ, როგორც ზემოთაც დაინახავდით, პირველ დასაწყისს სახალხო ერთ-კლასიან სკოლაში სპეციალური საგნების სწავლება, როგორიც—მეურნეობა, ხელოსნობა, მრეწველობა, შეუწყნარებელია. მეორეთ ამისთანა სასწავლებელი მოითხოვს თავიდანვე დიდს ხარჯს და მოგვცემს მცირე სარგებლობას. მართალია, ბ-ნი ივანე გვპირდება—ხუთი ან ათი დესეტინა მიწის შემოსავალი მთლად ეყოფა სკოლას და ყველა ხარჯსაც დაჰფარავსო, მაგრამ ეს ტყუილი იმედია. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ მოგვიხდება — წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლას 50 ნესეტინაზედ მეტი ადგილი აქვს. ეს სასწავლებელი, რომელიც თავისი გონივრულად შედგენილი პროგრამით, ოცი წელია მოქმედობს ჩვენში, მაგრამ მისი შემოსავალი არა თუ ხარჯს ვერ ჰფარავს, ბანკი რომ ყოველ წელს 5,000 მან. სუბსიდიას არ იძლეოდეს, სასწავლებლის საქმე ცუდათ წავიდოდა. ბ-ნს როსტომაშვილს რომ შესწავლილი ჰქონოდა წინამძღვარიანთ სკოლის ავ-კარგი, მისი უფლება და დღეს ყველასათვის სასურველი პროგრამმა და უფრო ის გარემოება, თუ რისთვის ამ სკოლის შემოსავალი ვერ ფარავს მთელს ხარჯს, მაშინ დარწმუნებული ვართ მისი სკოლის განძრახული პროექტი სულ სხვანაირად შეიცვლებოდა და ვილაც გადამთიელ მასწავლებლის ზიუკოვის მაგალითი ერთი დესეტინა მიწა 1,000 მანეთზე მეტს შემოსავალს აძლევსო, ზღაპრულ ამბად არ ჩაითვლებოდა.

საზოგადოდ მეცადინეობის დრო სახალხო სკოლებში არსად არ აღემატება $4^1/_2$ საათს. ეს დროც უმეტესობას ზევრად მიაჩნია და ხანგრძლივ სკოლაში მეცადინეობას აბრალებენ ბავშვების უდროვოდ მოქანცვას და თან სწავლის საქმეში მცირე წარმატებასაც ამას აწერენ. ამ აზრის დასამტკიცებლად ბ-ნს როსტომაშვილს თავისს წერილში მოჰყავს ინგლისელი მსწავლულის Paget-ის ცდა, რომლიდანაც სჩანს რომ ბავშვები, რომელნიც დანიშნული დროის ნახევარს ანდომებდნენ სწავლას და სხვა დროს თამაშობაში ატარებდნენ, უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ისინი, რომელნიც ხანგრძლივ მუშაობაში ატარებდნენ დროსაო. ბ-ნის როსტომაშვილის გეგმით ბავშვები რვა საათი მაინც უნდა დარჩნენ სკოლაში. „ორ საათს მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობის სწავლას ანდომებენ, ოთხ-ხუთ საათს წიგნის სწავლას უბეჯითებენ“. ეგ ხომ შვიდი საათი მეცადინეობა გამოვიდა; თუ $4^1/_2$ საათი დიდ დროთ ითვლება სკოლაში მეცადინეობისათვის, დამერწმუნეთ რომ შვიდი-რვა საათი მეცადინეობა პედაგოგიური ბარბაროსობა გამოვა. მაგრამ ამასაც ჰყავს მომხრეები და ამათთან ერთად ბ-ნი როსტომაშვილიც იტყვის, რომ ჩემ მიერ განძრახულ სკოლაში ბავშვები სხვა-და-სხვა საგნებს სწავლობენ, საგნების შეცვლით სხვა-და-სხვაობით მოწაფეები არ იღლებიანო, მაგრამ ესეც შემცდარი აზრი გახლავსთ. იმ სამეცნიერო წერილში, რომელიც დასტამბა ცნობილმა მეცნიერმა ვირენუსმა ჟურნალ „Вѣстникъ Восп.„1894 წ. სათაურით: Распредѣленіе времени для учащихся дѣтей“, საიდამაც ბ-ნ როსტომაშვილს ამოღებული აქვს Paget-ის ცდა, ეს საკითხი ცხადად არის განმარტებული. იქ სწერია დასკვნად: „для возстановленія потраченной энергіи органа и способности его работать необходимъ полный, абсолютный отдыхъ, а не отдыхъ относительный т. е. смѣна работы“.

ყველა სახალხო სკოლის ავ-კარგიანობა, მისი ბედნიერება და უბედობა, ნაყოფიერება და უნაყოფობა დამოკიდებულია უმეტეს შემთხვევაში სახალხო მასწავლებელზე. რა საფუძვლიანი სამეურნეო ცოდნაც ჰქონდეს სახალხო მასწავლებელს, თუ იგი თავდაპირველად კარგი სახალხო მასწავლებელი არ არის, იმისი სკოლა სწავლა აღზრდის მხრით ყოველთვის დაქვეითებული იქნება.

სახალხო სკოლებში უმთავრესი საქმეა საზოგადო საგნების სწავლება და საზოგადოთ გონების განვითარება სკოლის მოწაფეებისა, სხვა დანარჩენი საგნები მეორე ხარისხოვანად უნდა ჩაითვალოს ან სულ უნდა ამოიფხიკოს სახალხო სკოლის პროგრამიდგან მათი სისტემატიური სწავლება, რომელიც მოუხერხებელია. ჩვენ დროში ხშირად იმართება ესრედ წოდებული სამეურნეო კურსები სოფლის მასწავლებელთათვის, ხოლო საპედაგოგიო კურსებს, რომელიც უნდა ეხებოდეს სახალხო სკოლის უმთავრეს საგანს, არავინ ახსენებს. ეს განა ნორმალური მოვლენაა?

დასასრულ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენებურს სახალხო სკოლის მასწავლებლებს არავითარი ერთობა და კავშირი არა აქვსთ ერთმანეთში, პირიქით თითქოს გაურბიან ერთობასაო, მაშინ როდესაც ყოველი რთული საქმე ერთობით, ერთობილის ძალით კეთდება და არა განცალკევებით. სამწუხაროდ, ერთობას მოკლებულნი სახალხო სკოლის მასწავლებელნი, რომელთაც არავითარი შემუშავებული საერთო პროგრამმა არა აქვსთ, დღეს ჩვენში წარმოადგენს არასანუგეშო ტიპს მასწავლებლისას.

ლ. ბოცვაძე

ჩვენებური ამბები

ს. ჭობარეთი (ახალციხის მაზრა). მგონი არავის გაგეგონოთ ამ სოფლის სახელი. ეს სოფელი მდებარეობს რკინის წყლიან ურავლის აღმოსავლეთ მხარეს ერთ-ერთ ხეობაში. ამ სოფლის ერთის მხრის სამზღვარი ზედ გადაჰყურებს უკვდავ შოთას აწ გაოხრებულ სამშობლო—რუსთავს. მცხოვრებთა რიცხვი ამ ორმოცდა ათის წლის წინად თურმე 14 კომლს არ აღემატებოდა, დღეს-კი სამოცი კომლია, 700 სულამდი მდედრი და მამარი. ამ რიცხვში 9—10 კომლი მაჰმადიანი ურევია. რაც წინად დედულ-მამული ჰქონიათ, იგივ დღესა აქვთ და, ადვილი წარმოსადგენია თუ დღეს რა გაჭირვებულ მდგომარეობაში უნდა იყოს ასე გამრავლებული სოფელი. ამას მიუმატეთ ერთი ორად გადიდებული ათას გვარი გადასახადი!.. ამ გაჭირვება-უკიდურესობამ იქამდი მიიყვანა ხალხი, რომ თავის სოფელმა ვეღარ დააკმაყოფილა და მონახა შესაფერი გადასასახლებლათ ადგილი ყარსის ოლქში არტაანის ახლო. რამდენჯერმე ითხოვეს გადასახლება იქ, მაგრამ უარი მოუვიდათ—„ის ადგილები სხვისთვის არის დანიშნულიო“.

ერთად ერთი სალსარი ცხოვრებისა ამ სოფელში ხვნა-თესვა და ცხვარ-ძროხის ყოლაა. ბაღ-ვენახები და სხვა ამ გვარი მეურნეობა აქ არ იციან.

ცხვარ-ძროხას საზაფხულოთ მიერეკებიან ხეოთის იალაღზედ, რომელიც ეკუთვნის ერთ-ერთ აქაურს მებატონეს. ამ იალაღზედ გარდა ჭობარლებისა 10—12 სხვა სოფლის ცხვარ-ძროხაც მოუდით. ამიტომ მეტად შევიწროვებულია ცხვარ-ძროხა აქ უბალახობით—ადგილის ვიწროობით. ამ გარემოებაში მყოფი საქონელი არც ბლომად რძეს იძლევა და ვერც სუქდება; ხალხი-კი ამას არ დაგიდევს და რაკი სხვა სალსარი არა აქვს ხსენებულ იალაღს აწყდება!

საძოვარს სამის თვის განმავლობაში სულზედ თითო აბაზს ახდევინებენ, აგრეთვე ჩვილ ხბორებსა და ზაქებზედაც ხოლო ბატკანზედ—ორ-ორ შაურს.

იალის საუკეთესო ბალახიანი ადგილები ყორულია ე. ი. სათიბ-სათივეთ არის დადებული. იმავ სოფლელებს ათიბინებს და როცა ზვინათ—თითო ურმათ—დადგამენ თივას მამულის პატრონი ავა მთაზედ და შეაწერს ხარჯს 8 მანეთიდან 15 მანეთამდე თითო ურემ თივაზედ. ხშირია ისეთი მაგალითი, რომ საწყალი კაცი ვერ იხდის ამ ხარჯს და თავისი ნაამაგდარი თივა რჩება მთაზედ და ლპება!.. იმ მთიდან ჩამოტანა რისამე ხომ ერთი ჯოჯოხეთია უგზოობის გამო!.. მაინც ჭობარლები და ხეოთელები, რადგან სოფლად ცოტა აქვთ მიწა,—ამ მთაზედაც სთესავდნენ წინად ქერნახულს, მაგრამ ახლა-კი აღუკრძალა მემამულემ. აი რათა: ზოგჯერ ყანა სცდებოდა—თავთავს არ იკეთებდა და მემამულე ვერას იღებდა. გლეხს-კი თივის მაგივრად ბზე მაინც რჩებოდა უღალოდ. ახლა-კი სულ თივათ ათიბინეს და ორში ერთი: გლეხმა ან უნდა ხელი აიღოს მზა-მზამზარეულს თავის ნაშრომ-ნაღვაწ თივაზედ ან შეწერილი ხარკი უნდა გადაიხადოს!..

აქნობამდი ამ სოფელში და არც ახლო-მახლო (გარდა მუსხისა) სკოლის ჭაჭანებაც არ იყო, ახლა-კი არ ეს 7—8 წელიწადია ღვაწლითა და მეცადინეობითა ბლაღოჩინის მ. დიმიტრი ხახუტაშვილისა დაარსდა ახლო სოფელ ძველში სამრევლო სკოლა, რომლის გამგე არის ამავე სოფლების მღ. მ. ეფრემ ინასარიძე, რომელიც არავითარ შრომას არ ჰზოგავს ხალხის სინათლეში გამოყვანისათვის. მ. ხახუტაშვილის ღვაწლი-კი მარტო სკოლების დაარსებით (სხვაც რამდენიმე დაარსა) არ განისაზღვრება. იგი არის მამა-პატრონი ამ დაჩაგრულ-დაბეჩავებულის ხალხისა; იგი არამც თუ როგორც სასულიერო კაცი— მარტო სასულიეროს ასწავლის, არამედ თავის ფეხით დადის სოფლიდან სოფელს და ურჩევს ხალხს ეხლანდელ ცხოვრების გაჭირვების დროს გაჰყიდონ ბლომად შეყრილი უჯიშო მცირედ-სარგებლიანი ცხვარ-ძროხა და მის მაგივრად იყოლიონ რამდენიმე კარგის ჯიშის ძროხა; დაანებონ თავი მამაპაპეულ გუთან-ურემს და ახალი სამეურნო იარაღები შეიძინონ, რომ შრომაც ნაკლები წავიდეს და ნაშრომი-კი ბლომად დარჩეს; აიშენონ ეხლანდელ მიწურ თაგვის სოროს მსგავს სახლების მაგივრად რიგიანი, ჯანის მოსასვენებელი სახლები და სხვა-და სხვა...

მოუტანია კიდეც ნაყოფი მ. დიმიტრის დარიგებას. ჩვენს იქ ყოფნის დროს რამდენმამე განაცხადა სურვილი სამეურნეო იარაღის და „დუხაბორის“ ძროხის ყიდვისა.

ვუსურვებთ მამა დიმიტრის დაუცხრომელ ენერგიას, რათა ეს დიდებული ნაწილი მესხეთისა კვლავ აღყვავდეს და აღორძინდეს!..

ტრ. ინასარიძე

რუსეთი

პეტერბურგის ქალაქის მოურავის მოადგილემ ტარასოვმა შემდეგი დეპეშა გაჰგზავნა პოლტავაში კოტლიარევსკის დღესასწაულის დღეს: დაუვიწყარის პოეტის ძეგლის დადგმისა და კურთხევის დღე სადღესასწაულო დღეა მთელის შეგნებულის რუსეთისათვის. მისის მდაბიურ, ლამაზ, გულ-უბრყვილო საერო ირონიით გამსჭვალულ ლექსით ხორც-შესხმულ და ხელოვნურად დახატულ იქმნა ზნე-ჩვეულება და ყოფა-ცხოვრება უკრაინის ხალხისა. სახელი და დიდება საერო მგოსანს, სახელი და დიდება მის მიერ ხოტბა-შესხმულს ერს! პეტერბურგის მკვიდრთა სახელით ვულოცავ ამ დიდებულს დღეს პოლტავას,— „უკრაინის“ სულსა და გულს.

— მიწად-მოქმედების სამინისტრო აარსებს ბესარაბიისა, ეკატერინოდარისა, ტავრიდისა და ხერსონის გუბერნიაში ცალკე კომიტეტებს, რომელთაც უნდა იზრუნონ და შეუმსუბუქონ იქაურ მემამულეთ სესხის აღება სამინისტროდან სასოფლო-სამეურნეო საქმეთა გასაუმჯობესებლად.

— პეტერბურგის ქალაქის თვით-მართველობას უნდა გააიაფოს სასწავლო წიგნები და სახელმძღვანელოები ქალაქის პირველ დაწყებითს სკოლების მოსწავლეთათვის. პუშკინისა, გოგოლისა და ჟუკოვსკის თხზულებათა იაფ-ფასიან გამოცემათა გავრცელებამსახალხო სკოლების კომისია ჩააგდო გულის ხმაში. ამან განიზრახა ძრიელ დაუკლოს ფასები სასწავლო წიგნებსა. ეს-კი შესაძლოდ მიაჩნიათ, თუ ქალაქი თვით იკისრებს წიგნების გამოცემას. განხორციელება ამ აზრისა ადვილად შესაძლებელია, რადგან არსებობს ამისათვის ცალკე ფონდი დ. დ. სემენოვისა.

— ხაზინას უნდა დაიცვას თავისი ინტერესები და ამიტომ გზათა სამინისტრო სცდილობს უკეთ მოაწყოს საქმე იმათის დასაჩუქრებისა, ვინც მოხელეთაგან, ხეიბარ იქმნა რკინის გზის მიერ. ამ აზრით, ხეიბარ-დასახიჩრებულთ, აგრეთვე სამსახურისაგან დაავადმყოფებულთ შეამოწმებენ, რათა უკეთ იქმნას გამორკვეული, ერგება თუ არა ის ფული, რასაც თხოულობენ ხოლმე დასახიჩრებულნი, ან დაავადმყოფებულნი და შრომის უნარის დამკარგველნი სამსახურში.

უცხოეთი

საფრანგეთი. ელ-მუნღარას მახლობლად საფრანგეთის რაზმის დამარცხების ამბავმა მეტად დააღონა პარიჟელნი.

ელ-მუნღარა სამხედრო სადარაჯოა ალჟირის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარზე, ფიგოგის ოაზისიდგან 150 კილომეტრის მანძილზე; როგორც მკითხველმა უწყის, ამ რამდენისამე თვის წინად მთელი ექსპედიცია იყო გაგზავნილი ფიგოგის მცხოვრებთა „ჩასაგონებლად“, რადგან მეტად თავხედურად იქცეოდნენ. ეს უკანასკნელი საქციელი (საფრანგეთის რაზმზე თავ-დასხმა) სწორედ სამაგიეროს ვადახდაა ადგილობრივ მკვიდრ მუსულმანთაგან.

რაზმი 120 კაცი თან მისდევდა სურსათ-სანოვაგის ქარავანსა, რომელიც ტაგიტს მიდიოდა. აგვისტოს 20-ს დილის $8^1/_2$ საათზედ, როცა რაზმმა სასაუზმოდ შეისვენა ელ-მუნღარასა და ცაფრონის

ფელეტონი

ტყემი.

ნეტავ რამ ჩამოგაბნელა,
ტყევ, დაბურულო, გრძნეულო!
ვისი ცრემლია, რომ გნამავს,
გარს ნისლით შემოხვეულო!
რისთვის აკვნესებ მუხასა,
ჭარმაგსა, ათას წლოვანსა;
ალაღე, კიდევ ფესვს გასდგავს
თვისებრივ მრავალ შტოვანსა.
სადაც სიცოცხლე არა სდუღს,
იქ ვაგლახია ცხოვრება;
ბნელში ვინ ჰპოვა,—შენ ჰპოვო,—
შვება და სიამოვნება?!
აახმაურე ფოთლები,
გარს შავად მიმომფინარე,
გამოაფხიზლე სოფელი,
მიყრუებული, მძინარე.
ნეტავ რამ ჩამოგაბნელა,
ტყევ, დაბურულო, გძნეულო!
ვისი ცრემლია, რომ გნამავს,
ნისლით გარს შემოხვეულო!

ბ· ახოსპირელი.

იმერეთის დედოფალი მარიამ

(მოთხრობა კ. ა. ბოროზდინისა) [1]

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, 15—20 წელთა შუა, ერთს ლიტეინი პროსპექტისაკენ მიმავალ ქუჩაზე განმარტოვებულ ხის სახლში, როგორიც მაშინ ასე ბლომად იყო პეტერბურგს, სცხოვრობდა ძლიერ მაღალ ხარისხოვანი მოხუცი ქალი—იმერეთის დედოფალი მარიამი. თავისს ცხოვრებას ის მშვიდად, სადად ატარებდა, სხვაგან ძვირად დადიოდა, ტანთ იცვამდა თვისს ეროვნულ ტანისამოსს და მისს უკვე დამჭკნარს სახეზე კარგად სჩანდა უწინდელი მისი გასაოცარი სილამაზის კვალი. დედოფლის შტატს შეადგენდა რამდენიმე მასთან დახლოვებული ქალ-ვაჟი, მოხუცი და ახალგაზრდა. ესენი დედოფალს მოჰყოლოდენ შორეულ სამშობლოდან და რაღაც განსაკუთრებული პატივისცემით და მოწიწებით ეპყრობოდნენ.

ყოველ კვირას დედოფალი სასახლის კარის კარეტით მიდიოდა მახლობელ ეკკლესიაში ყოველთა ქირვეულთა, ან და ნეველის ლავრაში, ხოლო საუფლო დღესასწაულებსა და უქმე დღეებში ესწრებოდა სამეფო გამოსვლას და ბალებს. სადღესასწაულო ტანისამოსი მისი ყოველთვის ერთნაირი იყო: თეთრი ატლასის კაბა, ასეთივე ოქრომკედით ნაკერი ქათიბი, რომლის ქვეშ მოსჩანდა წმ. ეკატერინეს ორდენის ლენტი და ვარსკვლავი, ხოლო თავზე გაკეთებული ჰქონდა თავსაკრავი, ძვირფასი ქვებით შემკულ და გრძელ ლეჩაქით დაფარული. მოხუც დედოფალს ძლიერ ეალერსებოდენ ორივე იმპერატრიცა, ხელმწიფეც განსაკუთრებულ მოწყალებით ეპყრობოდა, მაგრამ მის ღირსებით, სიკეთით და სიმშვიდით სავსე სახეზე ძვირად თუ ღიმილი გაირბენდა. თავისს სიცოცხლეში ამ მანდილოსანმა ძლიერ ბევრი მწუხარება დაითმინა მას შემდეგ, რაც რამდენისამე წლის წინად მისმა ქმარმა, იმერეთის მეფემ სოლომანმა დაარღვია ფიცი და გაიქცა ოსმალეთში. ეს ამბავი მოჰხდა შემდეგ გარემოებათა შორის.

ქუჩუკ-კაინარჯიის ზავის ძალით 1783 წ. [2]) ამიერ-კავკასიის საქრისტეანო ქვეყნების ყველა მთავრები განთავისუფლდნენ ოსმალეთის ქვეშევრდომობისაგან და სამარცხვინო ხარკის—ქალვაჟის—ძლევისაგან, ცნობილ იქნენ დამოუკიდებლად, მაგრამ ნამდვილად-კი ეს დამოუკიდებლობა მხოლოდ სახელით იყო. როდესაც რუსის ჯარი, სპარსთა (?) და ოსმალთა დამარცხების შემდეგ, გავიდა ამიერ-კავკასიიდან, სპარს-ლეკებმა წინანდებურად იწყეს ქართლ-კახეთის ოხრება, ხოლო ოსმალნი დროგამოშვებით თავს ესხმოდნენ იმერეთს, სამეგრელოს და ქართლ-კახეთს, ერთმანეთზედ ამხედრებდნენ მეფე-მთავრებს და აოხრებდნენ ქვეყანას. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა. სულ მუდამ ორ წყალს შუა ყოფნა ვერ აიტანეს ამიერ-კავკასიის ქრისტეანმა მთავრებმა მას შემდეგ, რაც 1801 წელს ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII-მ სიკვდილის წინად გადასცა თვისი სამეფო რუსეთის იმპერატორს, მის მაგალითს 1803 წ. მიბაძა სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა, ხოლო 1804 წ. კავკასიის მთავარმართებელ თავ. ციციანოვთან მოლაპარაკების შემდეგ (მოლაპარაკება სწარმოებდა გვარდიის პორუჩიკის გრაფ მ. ს. ვორონცოვის—შემდეგში უგან. თავ. დ კავკასიის ნამესტნიკის — შუამავლობით) იმერეთის მეფემ სოლომონმაც. მაგრამ როდესაც ასეთს გარდაწყვეტილებას ადგებოდა, სოლომონი ვერ ჰგრძნობდა სავსებით, როგორც ამ საქმის სიდიადეს, ისე იმასაც, რომ პასუხს აგებდა, თუ-კი მომავალში ცოტათი მაინც თვისის მოქმედებით უკუგდება რუსეთის მთავრობის ინტერესებს.

ეგრედ წოდებულ თხოვნის მუხლთა ძალით, სოლომონი, რუსეთის მეფის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ, ჰკარგავდა უფლებას თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და პიროვნებაზე. ანუ უკედ რომ ვსთქვათ, ერთმეოდა სისხლის სამართლის საქმეების გარჩევის უფლება და თავის სამეფოში სრულ ბატონად მხოლოდ სამოქალაქო საქმეებში რჩებოდა. ამასთანავე ყოველგვარი ურთიერთობა მისი სამეფოს მოსაზღვრე ოსმალეთის მოხელეებთან მხოლოდ კავკასიის მთავარმართებლის შუამავლობით უნდა ჰქონოდა. ქუთაისში ჩადგა რუსთა ჯარის ნაწილი, მოაწყო იქ თავისთვის ბინა, ხოლო მეფესთან დანიშნულ იქმნა ერთი მოხელე, განსაკუთრებულის ინსტრუქციით და უფლებებით მოსილი. ამგვარ რეჟიმს ვერ შეურიგდა სოლომონი, უფრო-კი მასთან დაახლოვებულ თავადების, თვისისა და

---

[1] ბ-ნი ბოროზდინი კარგად ცნობილია კავკასიის შესახებს მწერლობაში. მისი თხზულებანი «სამეგრელო-სვანეთის სამთავროების მოსპობა» და „ბატონ-ყმობა საქართველოში“ ქართულადაცაა ნათარგმნი. ეს მოთხრობა, რომელიც ბოროზდინისათვის, როგორც თვითონ აცხადებს წერილის ბოლოში, უამბია უგ. თ. გრიგოლ ლევ. დადიანს, დაბეჭდილი იყო რუსულ «ნივას» 1893 წლის კრებულში. ზოგიერთი რამ ცნობა ამ მოთხრობისა ჩვენის ისტორიისათვის გამოსადეგი იქნება და ამისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ მისი თარგმნა მხოლოდ აქა-იქ, სადაც საჭიროდ დავინახეთ, რამდენიმე შენიშვნა წარვუმძღვარეთ. დედოფალი მარიამი იყო ასული სამეგრელოს მთავრის კაციასი, დაი მთავრის გრიგოლ დადიანისა და მეუღლე უკანასკნელი იმერეთის მეფის სოლომონ II-სა.

[2] შეცდომაა. ეს ზავი რუსეთ-ოსმალეთ შორის 1774 წ. ჩამოვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა, მოულოდნელად თავს დაესხა დიდი რაზმი ბერძენთ-მომთაბარენი, 3—4 ათას კაცამდე. ბრძოლამ 8 საათს გასტანა; ფრანგებს სრულიად გასწყვეტდნენ, რომ მშველელ რაზმს არ მიესწრო დროზედ. მაშინ კი ბერბერნი გაიფანტნენ; ფრანგებს მოუკლეს 37 და დაუჭრეს 47 კაცი. მაროკკოელებს, როგორც ამბობენ, მეტი ზარალი მოსვლიათ: მთელის ერთის კილომეტრის მანძილზე ჰყრია უპატრონოდ დატოვებულ მოკლულთა გვამები.

თუარეგებისა არ იყოს, ბერბერნი ყველაზედ უფრო საშიში ყაჩაღები არიან უდაბნოში და, თუ მარჯვე შემთხვევა მიეცათ, ყოველთვის თავს ესხმიან ფრანგთა ქარავანებსა, რომელთა მიმოსვლის შესახებ მუდამ დაწვრილებითი ცნობები აქვთ ხოლმე თავის ჯაშუშთა წყალობით. ზოგიერთი გაზეთი თხოულობს, რომ ძლიერი რაზმები გაიგზავნოს ამ დაუნდობელ ყაჩაღთა ბრბოების წინააღმდეგ და სრულიად გასწყვიტონ იგინი.

ბულგარია. დაბრუნდნენ სოფიას ბულგარიის მინისტრები, რომელნიც ევქსინოგრადს იყვნენ მიწვეულნი მთავრის მიერ. მინისტრთა და მთავრის ბჭობა-თათბირის შესახებ გაზ. „ფრანკ. ზეიტ.“-ის სოფიელი კორესპონდენტი შემდეგს გადმოგვცემს: სამხედრო გეგმათა, და განსაკუთრებით ჯარების გამოწვევის წინააღმდეგ, ყველაზე მეტი სამხედრო მინისტრმა სავოვმა ილაპარაკა. ძნელი სათქმელია, რა აზრისაა თვით მთავრობა მიმდინარე საქმეთა შესახებ, რადგან არავითარი გარკვეული გეგმა არა აქვს. მთავრობა, როგორც ეტყობა, ჯერ იმის მოლოდინშია, თუ როგორ დასრულდება სახალხო არჩევნები, რომელიც 1 ნოემბრისათვისაა დანიშნული. გარდა ამისა, როგორც ერთი ადგილობრივი გაზეთი იუწყება, პეტერბურგში მყოფი სადიპლომატო აგენტი სტანჩევი ევროპაში მოგზაურობს, რათა შეიტყოს, თუ რა აზრისა არიან დიდ სახელმწიფოთა მთავრობანი ბალკანეთის საქმეების შესახებ. ამ ჟამად იგი ბერლინში იმყოფება. ბულგარიაში მყოფი მაკედონიის კომიტეტი ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ ხალხი აადელვოს და მაკედონელ მეომართ მიაშველოს. ყრილობები ხშირად ხდება და თითქმის ერთხმად თხოულობენ მთავრობისაგან, რომ მიემხროს მაკედონელ მოძმეთ და პირდაპირ გაუმკლავდეს საერთო მტერსა. კომიტეტმა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს დაუგზავნა ქაღალდი, სადაც მოხსენებულია, რომ მაკედონიაში 55,000 კაცი უსახლკაროდ დარჩა ღვთის ანაბარადაო.

— სტამბოლში მყოფი ბულგართა ეგზარხოსი შინაურულად დაუპატიმრებიათ თავის სასახლეში. როგორც გაზ. „ტაიმსის“ სოფიელი კორესპონდენტი იუწყება, ამ ამბავს თვით ზომიერნი ბულგარნიც-კი მეტად აღუშფოთებია.

ოსმალეთი. დეპეშები იუწყება—ბეირუტში მომხდარ ქრისტეანეთა აკლების დროს მოკლულია 30 კაცი და დაჭრილი ხომ მრავალიო. კონსულების მიერ უკანასკნელ ხანს დაგზავნილ ცნობებიდანა სჩანს, რომ ქრისტეანეთა ჟლეტას და მუსვრას ჯერ ბოლო არ მოჰლებია. ხალხს შიშით თავ-ზარი დაეცა. კონსულები შეკრბნენ და დაადგინეს,—იშუამდგომლონ პორტას წინაშე ბეირუტის ვალი რეშიდ-ბეი გადააყენონ და მის მაგივრად დამასკის ვალი ნაზიმ-ფაშა დანიშნონ. ამასთანავე დაადგინეს,—სთხოვონ მფარველობა ამერიკის ესკადრის უფროსს, რომელსაც მზად ჰყავს სამრად 500 კაცი. ამერიკის ხომალდები გამზადებულია საბრძოლველად. სხვა სახელმწიფოების ხომალდების მოსვლასაც მოელიანო.

გაზ. „პარტ. ზეიტ.“-ის კორესპონდენტის აზრით, სირიელ მაჰმადიანთა და ქრისტეანთა საურთიერთო მტრობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მაკედონიის საქმეებთანაო. ეს მტრობა დიდიხანია არსებობს; იგი შედეგია ისტორიულ და ადგილობრივ საურთიერთო პირობათა ამას ზედ დაერთო ახლანდელ ვალის უხეირო მართვა-გამგეობა. დიპლომატები ორი კვირის წინათ აფრთხილებდნენ პორტას,—ბეირუტში საქმე გამწვავდებაო; ვალი-კი სულ საშვიდობო ცნობებს იუწყებოდა. ეს-კი საკვირველია, ოსმალეთისათვის ხელ-საყრელია, რადგან ეშინია მღელვარება ქვეყნის შუაგულშიც არ დაიწყოსო, სადაც დიდიხანია თავი იჩინა უკმაყოფილებამ; განსაკუთრებით სმირნის მიდამოებში მცხოვრები კრიტელი ემიგრანტებიც დიდად უკმაყოფილონი არიან. პორტას და ხონთქარს დიდიხანია ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევსო.

ნარკვევი

გაზ. „კურიერ“-ში ვინმე ა. კ—ს აწერილი აქვს, როგორ წაიკითხა თვისთა მახლობელ ნაცნობთა შორის ლ. ტოლსტოიმ რამდენიმე თავი რომანისა „აღდგომა“. გეგონებოდათ ახალგაზდა მორცხვი ავტორიაო, ისე ჰღელავდა და უკანკალებდა ხმა, უკანკალებდა ხელები. ხელნაწერი მეტად გაურჩევლად იყო დაწერილი, არშიებიც გავსებული ჰქონდა მინაწერებით, ეტყობოდაო, ძლივას არჩევდა, საიდან სად გადასულიყო, რომ არ დარღვეულიყო ძაფი მოთხრობისა. გავათავეთ კითხვა პირველის კაბადონებისა, საცა მოყვანილია პროტოკოლები სასამართლოს გამოძიებისა ვაჭრის მოკვლის შესახებ. ყველა გაოცა ამ თავის გარდამეტებულმა რეალიზმმა. მაგრამ აი ტოლსტოიმ დაიწყო კითხვა ქალწულებრივის შნოებით დაწერილის თავისა კატუშას წარსულის შესახებ.

ავტორის ხმა უფრო ყრუ შეიქმნა, უფრო მკვეთრ-მკვეთრი, თითქო აგერ საცაა ცრემლები წამოსცვივაო. დიდებული მწერალი მალიმალ ჩერდებოდა, ვითომ და ვეძებ იმ ადგილს, საცა შევჩერდიო, მაგრამ ყველასთვის ცხადი იყო, რომ წასაკითხი ადგილი-კი არ ეკარგებოდა, ღრმა მღელვარება იყო მიზეზი მისის ხშირ-ხშირად შეჩერებისა. ავტორი ცხოვლად ჰგრძნობდა ხელ-ახლად იმას, რაც უკვე მოთხრობილი ჰქონდა, ჰგრძნობდა მხატვრობით ანარეკლ, ათინათინებულ სინამდვილეს თვისის პოეტურის შემთვისებლობის ყოვლის ძალ-ღონით.

ბოლოს დაჭიმულმა სიმებმა ვეღარ შესძლო და დაწყდა. ეს მოჰხდა სწორედ იმ ადგილას, საცა ნაამბობია, რომ ნეხლიუდოვი მიდის კატუშას სანახავად, სდგას ვარდივით გაშლილ ახალგაზრდას ოთახის ფანჯრის წინ, ხოლო ამ დროს მდინარე თავის ყინულს იშორებს თავიდან, ყინული იმტვრევა, თოშებად ქცეული. ავტორმა ვეღარ შესძლო კითხვის განგრძობა.

ამ სცენამ შეგვარყია გულის სიღრმემდე. ძლიერი იყო და დიდებული მისი ზედ მოქმედება ჩვენზედ. ავტორის მღელვარება ჩვენც გადმოგვედო, მისმა გულისტკივილმა ჩვენც გული გვატკინა.

მივხვდით იმ საიდუმლოებასაც, რომლითაც ჰმოქმედობს პოეტის შემოქმედობა საზოგადოებაზედ,

ხელ-ნაწერის კითხვა განაგრძო ტოლსტოის ქალმა. დავათავეთ ის თავი და შემდეგ აღარ განგვიგრძვია კითხვა

ტოლსტოი თავის სავარძელში იჯდა დაღალული, დაფიქრებული, თითქო მწუხარე და დიდად დაღონებულიო..

—

დღეს რუსეთის მწერლობა მთლად გატაცებულია ლ. ნ. ტოლსტოის ნიჭის, მოღვაწეობის და მამულიშვილობის აღნიშვნითა. ჩვენს გაზეთში არა ერთხელ მოვიყვანეთ სხვა-და სხვა გაზეთებისა და მწერლების აზრი ლ. ტოლსტოიზე მაგრამ არ შეგვიძლიან კიდევ არ გავუზიაროთ ჩვენს მკითხველებს ამ გენიოს მწერალზე სხვა და სხვათა აზრი და მსჯელობა.

„ბირჟ. ვედომ.“-ი ამბობს:

ტოლსტოი, რომელიც მოესწრო სამოცამ წლებსა, წარმომადგენელია ამ ეპოქის კარგისა და ავისა. თვით-რჯული, მოუსვენარ-დაუდეგარი და ამაყი გონება მისი, როგორც მხატვრისა, შეეხო რუსეთის ცხოვრებას ყველა მოვლენათა, რომ ყველგან აღმოეჩინა სიცრუე და სიყალბე. როგორც შვილი მეცხრამეტე საუკუნისა, მას ეჭვი შეუვიდა ყოველ წარმატების წინ-სვლაში—ხელოვნებისა, ოჯახისა, სკოლისა და პირად დამოკიდებულებაშიცკი. მხოლოდ ერთში არ ეჭვობდა ტოლსტოი—რუსის ხალხის სულის მშვენიერებაში. ის დიდხანს მედგრად ეძებდა ცხოვრებაში ნაციონალურს სიმართლესა; დამშვიდდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტით უთხრა თავის თავს, რომ «სიმართლე ერშია». სევასტოპოლში ბრძოლის დროს, კავკასიაში, ბოლოს სოფლად მან ნათლად იხილა მარტივი მშვენება რუსეთის ერის სულისა და დარწმუნდა, რომ წარმომადგენელი კეთილისა, სინიდისისა და ცხოვრებისა, უმაღლესის კაცისადმი სიყვარულისა და ღმობიერებისა—უნდა ვეძიოთ აქ, ერში.

—

როგორ იწერებოდა „ვოინა ი მირი“?—ამ სათაურით ბ-ნ ბოჩაროვს „რუსკ. სლოვოში“ დაუბეჭდია წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, მოჰყავს ერთი ისტორიული ცნობა:

«როგორ ყურადღებით ეპყრობოდა ლ. ტოლსტოი თვისის რომანის «ვოინა ი მირის» მასალის შეკრებას, ამას ჰმოწმობს შემდეგი ამბავი:

ერთი წლის თუ ორი წლის წინად, მანამ ეს დიდებული რომანი დაიბეჭდებოდა, დაიბეჭდა შემდეგი განცხადება:

«ორი-ათას მანეთად სურთ შეიძინონ მთელი 1812 წ. ნომრები «მოსკ. უწყებისა» ყველა მისი დამატებებით. ვთხოვთ მოიტანონ ტვერის ქუჩაზე, ნომრები გაღიაშვილისა (ეხლა ფილდ-ფეჩის სახლებაა).

მე ვაჩვენე მაშინ ეს განცხადება ა. ნ. პლეშჩეევს, რომელიც მაშინ ფსევდონიმით ბეჭდავდა თვის ფელეტონებს ჩემს გაზეთ „მოსკ. გუბერ. ვედ.“-ბში და მისგან შევიტყე, რომ „ვედომოსტებს“ 1812 წ. იბარებდა ლ. ნ. ტოლსტოი, რომელიც სწერს რომანს „ვოინა ი მირსაო“ („ომი და ზავი“).

თეატრი და ხელოვნება

ბათომი შაბათს, 30 აგვისტოს, რკინის თეატრში, გამართული იყო უკანასკნელი წარმოდგენა ქ-ნ მდივნის და ბ-ნ მირიანაშვილის საბენეფისოდ. ითამაშეს კარეევის 3 მოქ. დრამა „უბედური ნაბიჯი“, და ქ-ნ საფაროვის 1 მოქ. ვოდევილი «ბარაქალა, მასწავლებელო». ვარია პეჩორინის ქალის როლს თამაშობდა ქ-ნი მდივანი. ძნელი გასაბედი იყო ეს მისის მხრით, აქ ბათუმში, ჩხეიძის ქალის თამაშის შემდეგ. ვარიას როლი ერთი საუკეთესო როლია მის რეპერტუარში. მაგრამ არც ქ-ნი მდივანი იყო მოუმზადებელი. ეტყობოდა, რომ უმუშავნია და შეუგნია ეს ტიპი. კარგი იყო უფრო მესამე მოქმედებაში. როცა ბაროდინი ბარონესას სახლში გაჰკივის პეჩორინის ქალისადმი ნაძღვნევ რომანსს; აქ სწორედ ქვაც კი შეინძრეოდა, არამც თუ მსმენელთა გული. აქ ნამდვილი იყო ქ-ნი მდივანი. ხალხის გრიალს და ვაშას ძახილს ბოლო არა ჰქონდა. დანარჩენნი სუსტობდნენ.

ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა, კარგი იყო ქ-ნი მ. მდივანი. თეატრი თითქმის სავსე იყო.

ვინმე ტროსტაძე.

—

ქ. გორი. შაბათს, 30 აგვისტოს, აქაურმა სცენის მოყვარულთა წრემ გამართა მეორე წარმოდგენა. წარმოადგინეს «ხანუმა», კომ. 4 მოქ. და „ჟინიანი“ ვოდ. 1 მოქ. ავქ. ცაგარლისა. წარმოდგენამ ძალიან სუსტად ჩაიარა. მათი თამაში რაღაც უფერული და უსიცოცხლო იყო და ძალიან ჰგვრიდა ადამიანს. ცოტა გვიან დაიწყეს, თუმცა აფიშებში რვა საათი იყო გამოცხადებული. მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა.

თუმცა მიღებული არ არის, რომ სცენის მოყვარულნი გაჰკიცხო უხეირო თამაშობისათვის, რადგან მაინც-და-მაინც სცენის მოყვარულნი არიან და ბევრი არ მოეთხოვებათ, მაგრამ რომ არა ვთქვათ-რა არც ეს ივარგებს.

ხალხი საკმაოდ დაესწრო, რის მიზეზი ისიც იყო, რომ აფიშებში მისატყუებლად სამხედრო მუსიკას და დუდუკს ჰპირდებოდნენ, თუმცა არც ერთი და არც მეორე არ იყო. კარგი იქნება, რომ გამგე ბ-ნი დ. მაჭავარიანი არ ატყუებდეს ხალხს ტყუილი დაპირებით.

წერილი

რედაქციის მიმართ.

«ბ-ნ ავტორის» შენიშვნის გამო, რომელიც დასტამბული იყო თქვენის გაზეთის 186 ნომერში, საჭიროდ მიგვაჩნია გაუწყოთ, რომ უკანასკნელის ორის წლის განმავლობაში, რაც ხანი აწინდელი გამგეობა აწარმოებს დრამატიულ საზოგადოების საქმეებს, პიესა «მამა და შვილი» საპრემიოდ წარმოდგენილი არ ყოფილა და არც არავის მოუკითხავს.

ქართ. დრამატ. საზოგადოების გამგეობა

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 სექტემბერი.

მადრიდი. ის ხმა, ვითომც მეფე საზღვარ გარედ აპირობდეს მოგზაურობას, მართალი არ არის.

სტამბოლი. ქედივი მოსვლისათანავე ილდიზკიოსკს გაემართა, სადაც ხონთქარმა სადილად მიიწვია, ხოლო შემდეგ სადარბაზოდ მიიღო.

მაროკკო. მაროკკოს ჯარის სარდალი ბენ-იუსსი და 600 ჯარისკაცი დამარცხდნენ. მაროკკოს სულთანი კინაღამ მტერთ ჩაუვარდა ხელში.

სტამბოლი. ალბანელთა რედიფები ადრიანოპოლიდგან სამშობლოში უკვე გაისტუმრეს. უწესოების თავიდგან ასაცილებლად ჯარს გზაში ძლიერ ცოტახანს აჩერებდნენ.

ყირხ-კილისიდგან მიღებული ცნობა, ვითომც სოფ. ალმაძიკში 220 ბულგარს თავი მოჰკვეთესო, მართალი არ არის. უნდა იყოს: 22 ბულგარს მოჰკვეთეს თავი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გზად მომავალმა დაჰყო აქ ორი დღე. 3 სექტემბერს გზათა სამინისტროს გემით მინისტრი ყაზანს წავიდა.

პიატიგორსკი. სადღესასწაულო წარმოდგენის დროს მიწად-მოქმედების მინისტრმა წაიკითხა ხელმწიფე იმპერატორის მიერ ბელოსტოკიდგან გამოგზავნილი დეპეშა პრინცის ოლდენბურგელის სახელობაზე: „სიამოვნებით გავიგე თქვენის უმაღლესობის დეპეშიდან კავკასიის საკურნალო წყლების გაუმჯობესების ამბავი. იმედი მაქვს, რომ საქმე, რომელიც უნდა დაიწყოს თქვენის თანადასწრებით მეორე კრებამ, იმპერატორ პეტრე დიდის სახსოვრად, ახალს ნაყოფს გამოიღებს სამშობლო მეცნიერების ასპარეზზედ. ნიკოლოზ“.

სტამბოლი. აქ ხელახლა გავრცელებული ხმები, ვითომც ახლო მომავალში ბულგარებს განზრახვა ჰქონდეთ ნაღმი ააფეთქონ, საეჭვოა. უკანასკნელ დღეებში ბევრი ბულგარი დააპატიმრეს. გადაწყვეტილია, უეჭველად გაგზავნილ იქმნას სამშობლოში ყველა ოსმალელი ბულგარები.

ღამით სამი კაცი ცდილობდა საფრანგეთის საელჩოს მახლობლად მოეშალა მანქანები, რომლითაც საელჩოს სადგომია განათებული.

დედოფლის ნათესავების, მანქანების წყალობით. ამათ დიდი გავლენა ჰქონდათ თავიანთ სუსტის ხასიათის ხელმწიფეზედ. რაც სურდათ იმას აქმნევინებდნენ და რადგანაც ეშინოდათ, რუსთა მთავრობა ამ თვითნებობას ალაგმავსო, ამიტომ დაუწყეს შეგულიანება მეფეს რუსთა წინააღმდეგ. ჩვენის რეზიდენტის და თვით მთავარ-მართებლის მოთხოვნილებანი ან უგულოდ სრულდებოდა, ან სრულიად არ მოჰყავდათ სისრულეში, ხოლო ამავე დროს მეფეს საიდუმლოდ მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული ახალციხის ფაშასთან, რომელიც სთხოვდა, ხონთქრის ქვეშევრდომობა იკისრე ისევ და განდევნე რუსნი შენის სამეფოდანაო. თავის მხრივ ფაშამ ჯარით დახმარებაც აღუთქვა. ეს მიწერ-მოწერა ხელში ჩაუვარდა მთავარმართებელს, რომლის ადგილი მაშინ ეჭირა არა თავ. ციციანოვს, რომელსაც მეფე განუსაზღვრელად ენდობოდა; მის შემდეგ მთავარ მართებლად იყო გრაფი გუდოვიჩი, ხოლო შემდეგ გენერალ ტორმასოვი, რომელსაც სოლომონი ნაკლებად იცნობდა. ტორმასოვი მეფესთან მიწერილ წერილებში ყოველთვის მკაცრსა და ოფიციალურს კილოს ჰხმარობდა და როდესაც სოლომონის მიწერ-მოწერა ახალციხის ფაშასთან მთავრობისათვის ცხად იქმნა, მთავარ-მართებელმა მიზეზის აუხსნელად გამოიწვია მეფე ტფილისში.[3] წაუსვლელობა შეუძლებელი იყო, რადგან ერთის მხრივ ის ამით აშკარად გამოაჩენდა თავის ურჩობას და მეორეს მხრივ მეფემ იცოდა, რომ თუ-კი დასჭირდათ, ძალით მაიძულებენ წასვლასაო. ტფილისში მეფეს ბინად მიუჩინეს ერთი ორბელიანთა სახლთაგანნი, რომელიც მტკვრის პირად იდგა; მეფემ ინახულა ტორმასოვი, რომელმაც განუცხადა, რომ შენი მოღალატებრივი ურთიერთობა ოსმალეთთან გამოაშკარავებულიაო, რომ ამის შესახებ უკვე მოხსენებაა გაგზავნილი პეტერბურგში და სანამ იქიდან რაიმე გარდაწყვეტილი ბრძანება მოვიდოდეს, უნდა შინაურულად დაპატიმრებული იყვეო. მისს ბინას მიუჩინეს ყარაული.

ამ დღიდან მეფისათვის დაიწყო ერთგვარი, ყოვლად თავ-მომაბეზრებელი ხანა ლოდინისა. ვისიმე ნახვა მეფეს შეეძლო მხოლოდ მოდარაჯე ოფიცრის ნება-დართვით და ისიც მხოლოდ იმათი ნახვა შეეძლო, რომელნიც რუსთა მთავრობისაგან ცნობილ იყვნენ, როგორც კეთილსაიმედონი. მსახურთაგან დაუტოვეს ივანე სარალიძე, რომელიც განუშორებლად თვის ხელმწიფესთან იმყოფებოდა. მაგრამ მეფის თანამოსაგრეთ, თ.თ. ანდრონიკაშვილებს, აბაშიძეებს, წულუკიძეებს არ ეძინათ. საიდუმლოდ და დიდის მოხერხებით მიწერ-მოწერა ჰქონდათ გამართული მეფესთან და საქმე იმით გათავდა, რომ როდესაც ერთხელ სოლომონთან შევიდა მოდარაჯე ოფიცერი, ნახა ტახტზე წამოწოლილი მეფის ტანისამოსით გლეხი სარალიძე, ხოლო თვით სოლომონი-კი გაქცეულიყო. ეს ყველაფერი ამნაირად მოახერხეს: სარალიძე დღეში რამდენჯერმე ჩადიოდა მტკვარზე კბოდოვანის ნაპირით, გაავსებდა წყლით სპილენძის ჭურჭელს (თუნგს) და უკან ბრუნდებოდა მეფის ოთახში. მის ამგვარის ხშირის სიარულის გამო დარაჯები ისე მიეჩვივნენ მსახურის სახის გულუბრყვილო მეტყველებას და მისს უბრალო ტანისამოსს, რომ ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ; ის-კი, სულ იმავე თუნგით ხელში, მიდიოდა მეფის თანამოსაგრეთა სანახავადაც. როცა ყოველივე მზად იყო, სოლომონმა ჩაიცვა თვისის მსახურის ტანისამოსი, ჩამოიფხატა შუბლზე ქუდი და თუნგით ხელში ჩაეშვა მტკვარისკენ, სადაც უკვე უცდიდნენ თავადნი შეკაზმულ ბედაური ცხენით. როდესაც ეს ამბავი გამოაშკარავდა, თუმცა მეფეს ყოველი მხრისკენ დაადევნეს მდევრები, მაგრამ ამაოდ: სოლომონი მთის ბილიკებით ახალციხისკენ წასულიყო და მეორე დღეს უკვე ფაშასთან იმყოფებოდა საიმედო ადგილას. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია ტფილისსა და იმერეთში. ბევრი დააპატიმრეს, ხოლო გლეხი ივანე სარალიძე ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც რამდენიმე თვე იტანჯებოდა, ხოლო შემდეგ სადღაც გაჰგზავნეს ციმბირის შორეულ ადგილებში. იმერეთში განზრახული იყო ამბოხების მოხდენა, მაგრამ რუსთა მთავრობამ დაასწრო და ამ ქვეყანაში საბოლოოდ დამკვიდრებულ იქმნა რუსთა მთავრობა.[4]

ს. დავითიანი

(დასასრული იქნება)

---

[3] ეს ასე არ იყო. 25 აპრილს 1804 წ. მეფე იძულებული შეიქმნა ძალას დაჰმორჩილებოდა და რუსთა იმპერატორის ერთგულებაზე ფიცი მიეღო იმ პირობით-კი, რომ თუ საჭირო საბუთებს წარმოადგენდა, ლეჩხუმი მისთვის უნდა დაემტკიცებინათ. მაგრამ რადგანაც რუსთა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ მეფეს რუსები ჭირივით ეჯავრებოდა, ამიტომ თვისის საიდუმლო მტრის დასასუსტებლად გარდასწყვიტა ლეჩხუმი ჩამოერთმია მისთვის და დადიანისათვის მიეცა, რომელიც რუსეთის მომხრე იყო. მართლაც, ლეჩხუმი დადიანს მისცეს. მაშინ მეფემაც გაბათილებულად ჩასთვალა თავისი ფიცი და იწყო მიწერ-მოწერა ოსმალეთთან რუსების გასარეკად. თავისს მხრივ, რუსეთის მთავრობამაც გადასწყვიტა მეფის ტახტიდან გადაყენება და რუსეთს გადასახლება. ასეთი დიპლომატიური ომი რამდენსამე წელს გაგრძელდა. ბოლოს, 1810 წ. 20 თებერვალს იმპერატორის პროკლამაციით სოლომონ II-ს მეფობა ჩამოართვეს. სოლომონ II მცირე ჯარით გამაგრდა ხანის წყლის ხეობაში. რუსნი შემოერტყნენ. რადგან წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო, ამიტომ მეფემ მოლაპარაკება გამართა რუსის ჯარის უფროსებთან, რომელთაც შეჰფიცეს, რომ თუ ტფილისში წაბრძანდებით მთავარ-მართებელთან მოსალაპარაკებლად, თქვენს ღირსებას არა მოაკლდება-რაო და ისევ მეფედ დარჩებით იმერეთშიო. მეფეც დიდძალის ამალით 500 კაცით წავიდა ტფილისს.

[4] მეფე გაიპარა ტფილისიდან 9—10 მაისს ღამით ახალციხის საფაშოში თ.თ. წერეთლების (მათ შორის ერია თ. სვიმონ წერეთელი, შვილი სახლთ-უხუცესის ზურაბისა, რომელიც მეფეს ჰღალატობდა), ერისთავების და სხვების—სულ 23 კაცის—თანხლებით. აქედგან 17 მაისს პროკლამაციები გაგზავნა იმერეთში. მეფის პროკლამაციებმა დიდად ააღელვა მთელი სამეფო და. როგორც-კი სოლომონმა ფეხი შემოდგა (2 ივნისს იმავე 1810 წ.) თვისს ქვეყანაში, მაშინვე მთელმა იმერეთმა იარაღი აისხა და ბრძოლის ველზე გავიდა. მაგრამ უბედური მეფე ვერას გახდა. მრავალგან და მრავალჯერ დამარცხებული ბოლოს, 18 ნოემბერს ივლტო ოსმალეთს. მაგრამ ამ დიდის ხნის ბრძოლამ საშინელი გავლენა იქონია იმერეთზე. ყანები დაუთესავი დარჩა, რადგან ხალხი ბრძოლის ველზედ იყო გასული, რაც დაითესა, ისიც ზაფხულს დიდმა ნიაღვრებმა წაახდინა. ამის გამო მეორე წელს საშინელი სიმშილობა ჩამოვარდა, რასაც თან ზედ დაერთო ახალციხიდან გადმოტანილი შავი ჭირი (ჟამი). ეს უბედურება გაგრძელდა 1812 წ. შემოდგომამდე. შეუძლებელია იმ საცოდაობის აღწერა, რაც მაშინ ჰხდებოდა. ხალხს ახლაც ახსოვს ეს საშინელი ხანა დასავლეთ საქართველოსი, რომლის დროსაც სიმშილითა და ჟამით მოსწყდა ორი წილი მცხოვრებთა და სიცოცხლით სავსე ქვეყანა მთლად გაპარტახდა.

4 სეკდემბერი

ნიუჩჟუანი. ჟამი თანდათან ძლიერდება.

სოფია. ბოლგარიის მთავრობამ აცნობა დიდთა სახელმწიფოთ, პროტესტს ვაცხადებთ ოსმალთა მთავრობის წინააღმდეგ, ჰჟლეტენ ბოლგართ მაკედონიასა და ადრიანოპოლის ვილაიეტშიო.

სტამბოლი. მეოთხე კორპუსი ერგიზინცსა და მეხუთე ბაღდადში საომრათ ფეხზე დააყენეს.

სოფია. მთავარი ფერდინანდი მოვიდა.

მარსელი. ავადმყოფნი რჩებიან. ახლად ჯერ არავინ გამხდარა ავად. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ სენი ჟამს არა ჰგავს. შიში აღარა არის-რა.

ვენა. რეიხსრატი 10 სეკდემბერს შეიკრიბება.

თეირანი. პირველი მინისტრი გადააყენეს თანამდებობიდგან და ექსორია ჰყვეს.

სოფია. პროტესტის ნოტამდე სამშვიდობო ნოტით მიჰმართა მთავარ-მინისტრმა პეტროვმა ოსმალეთის კომისარს, ტეუფიკ გვემდურით, ბოლგარიას არაფრით არ დაუმსახურებია სამდურავი. ნოტა ასე თავდება: „თუმცა სდევნით და ამ დღენით იტანჯებიან თქვენს იმპერიაში დამკვიდრებულნი ბულგარნი, მაინც იმედი გვაქვს, რომ ოსმალეთი ჩვენს გულ-წრფელობას დაიჯერებს და ჩვენ მიერ მიღებულ ღონისძიებათა კანონიერობას აღიარებს. ბოლგარია არ არის პასუხის მგებელი იმ მღელვარებისათვის, რომელიც ოსმალეთში ასტყდა. მოვიდა დრო, როცა უნდა გათავდეს დღევანდელი ყოფა, თუ არა უბედურება დაგვატყდება თავს ჩვენცა და თქვენცა“. უცხოეთის წარმომადგენელთაც ჩაჰბარდათ სოფიაში პირი ამ ნოტისა.

პეტერბურგის ბირჟა 2 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,55
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,47$^1/_2$
ბირჟის დისკონტი.	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	99$^1/_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95$^3/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგებ. ბილ. 1864	443 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338$^1/_4$ წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	288 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9300 გაყ.
აქციები. „ „ „ »	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	3700 წვ. გაყ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	388
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	189$^1/_2$ წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1). საფოსტო № 74$_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/$_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/$_8$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/$_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1$^1/_2$-დგან 2-მდე და ი. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

განცხადებანი

მოსკოვის კონსერვატორია-დამთავრებული თეორეტიკა

ზაქ. ფალიაშვილი

აძლევს გაკვეთილებს, სამუსიკო თეორიისას და ფორტოპიანოზედ პეტერბურგის და მოსკოვის კონსერვატორიების პროგრამით.

ადრესი: იზმაილოვის ქუჩა, ხელაევის სახლი, № 43, ანუ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. (3—6—1)

ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია

უმორჩილესათ სთხოვს, როგორც ძველს სცენის მოყვარეთ, აგრეთვე ყველას, ვისაც სურს, მომავალ სეზონში მონაწილეობა მიიღოს წარმოდგენებში, მობრძანდეს შაბათს, 6 სეკდემბერს საღამოს 5 საათზედ სახალხო კითხვების აუდიტორიაში, ავჭალის ქუჩაზედ.

(1—უ—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1903 წელს, 12 სეკდემბერს, შუადღის 12 საათზე, გამგეობისავე დარბაზში **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ბორანი მდ. მტკვარზე, მუხრანის ქუჩასა და რიყეს შუა.

ვისაც ჰსურს, პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 დან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა შეიტანოს ბე 1500 მანეთი.

(2—6—1)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ღედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 11, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44. (50—10)

კოკორი ანუ ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი,

სახლობაში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ, ახლად დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების-მიერ და ისყიდება ამ საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ორი შაურია. ვინც ათზე ნაკლებს არ იყიდის, თითო წიგნი მიეცემა 8 კაპეიკად, ვინც ოცობით იყიდის, 7 კაპეიკად დაეთმობა წიგნი.

(6—6—3)

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

გამოვიდა და ისყიდება

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

ისყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—7)

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასაყიდათ ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით.

წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად.

(5—უ—3)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ალექსანდრე კოსტავას მაღაზიაში

ბულვარის პირდაპირ, სობოროს გვერდით.

იყიდება ყოველგვარი შეკერილი

ევროპიული ტანისამოსები

მაგალითად: პალტოები 10 მანეთიდან 35-მდე, მთელი კოსტიუმები 10 მანეთიდან 35-მდე., საწვიმარი მოსახურავები 70 მანეთიდან 30-მდე. შარვლები, კრახმალიანი პერანგები, ზაპინკები, ტროსტები და ყოველგვარი თეთრეული.

საგანგებოთ გამოვიწერე გამოცდილი გამომჭრელი ევროპიულ ტანისამოსისა და შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ევროპიულის და სამხედრო ტანისამოსებისა, ვყიდი არშინობით სამზღვარ-გარეთულ და რუსულ მატერიებს.

ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრე კოსტავა. (5—6—5)

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ «მოგზაურის» რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ფ. 5 კ.
2. ყელ-ჭირვება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კ
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფ. 5 კ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფ. 5 კ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონიურის წესით, ფ. 7 კ.
7. ბავშვებს გონიერი მოვლა ანუ რისგან იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფ. 5 კ.
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფ. 5 კ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ.
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.
12. „მურია“, სურათებით, საყმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კ.
14. სულით ავადმყოფნი მოსწავლენი ფ. 5 კ.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფ. 7 კ.
16. მეფე ლამზა, საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კ.
17. საუნჯე ავადმყოფისა, ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.
18. საუნჯე მეურნისა, ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება, გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კ
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 15 კ.
20. ცხვრის უვავილი, ფ. 5 კ.
21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ.
24. დრო გონს მოვიდეთ! ანუ ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კ.
25, მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ცუცუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი, ფა 10 კ.
27. ლიჰნარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კ.
28. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კ.
29. შიო-თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კაპ.
30. ცხენის წურბელა, მოთხრობ ხალხის ცხოვრებიდამ, ფ. 10 კ.
31, მაჭმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ,
32. როგორ ცხოვრებს ჩინელები, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ. 10 კაპ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კ.
39. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფასი 10 კ.
41. ალბომი «ქართველთა ტომი», ასი მეტი სურათით, ფ. 70 კ.
72. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯითაც სამ-სამი კაპეიკი წაემატოს თვითოეულ დაბარებულ წიგნზედ.

ადრესი: Тифлисъ, Редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили-ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-სავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ. (10—6)

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 4 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.